გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში პრაქტიკა, რომლის იდეაა: „დაგეგმე! გახადე უკეთესი შენი ქვეყანა!“ მოიცავს სამოქალაქო ბიუჯეტირების საპილოტე პროექტს ხაშურის მუნიციპალიტეტის სამ დასახლებაში - დაბა სურამში, სოფელ ქვიშხეთსა და სოფელ ცხრამუხაში. სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში აღნიშნული დასახლებების მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა თავად წამოეყენებინათ საპროექტო იდეები და კენჭისყრის შედეგად თავადვე გადაეწყვიტათ ის პროექტები, რაც საბიუჯეტო სახსრებით მათ თემში უნდა განხორციელდეს. (თითოეულ თემში, კენჭისყრის შედეგად განსახორციელებლად შეირჩა ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი).

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

მოქალაქეთა მონაწილეობა, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

პრაქტიკის ავტორია ხაშურის მუნიციპალიტეტი საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის) ჩართულობით.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე, ზღვის დონიდან 690 მეტრზე მდებარეობს. მისი ფართობი 585,2 კმ2 და საქართველოს მთლიანი ფართობის 0,84 %-ს შეადგენს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით საზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 118 კილომეტრია. მანძილი დედაქალაქიდან ხაშურამდე 120 კმ, ხოლო რეგიონული ცენტრიდან 47 კმ. ხაშურის მუნიციპალიტეტს ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, ვინაიდან ის მდებარეობს აღმოსავლეთ, დასავლეთ, და სამხრეთ საქართველოს გზაგასაყარზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მერია. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ხაშური, ერთი დაბა -

სურამი და 11 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ 84 სოფელი შედის. მოსახლეობა 65 ათასამდეა, მისი ძირითადი ნაწილი ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს.

მუნიციპალიტეტის სამრეწველო საწარმოები ძირითადად თავმოყრილია ქალაქ ხაშურში. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია: მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნესსექტორი ძირითადად წარმოდგენილია სამშენებლო ორგანიზაციების, სამრეწველო ორგანიზაციებისა და მსხვილი ფერმერული ორგანიზაციების სახით.

მუნიციპალიტეტში 32 სახელმწიფო და 1 არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და 18 საბავშვო ბაღია, მუშაობს ბიბლიოთეკები, თოჯინების თეატრი და 3 მუზეუმი.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

  ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყო შემდეგმა შიდა ფაქტორებმა:

  ა) ფინანსური რესურსი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წარდგიმებით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივ ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განსახორციელებლად განისაზღვრა თანხა - 300 000 ლარი.

  ბ) საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია - ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა, კერძოდ, საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის, იურიდიული, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგები თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეთა მონაწილეობა ბიუჯეტირების პროცესში“, რაც ითვალისწინებდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფორმების, ამოცანების, სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის, კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნის შესწავლას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებზე გაიარა სწავლება გერმანიაში. ამასთან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები გაეცნენ ქედის მუნიციპალიტეტის გამოცდილებას მონაწილეობითი ბიუჯეტის მიმართულებით.

  ტექნიკური მხარდაჭერა - ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტს ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ), რაც ძირითადად შემოიფარგლა მხარდაჭერით ელექტრონული კენჭისყრის პროცესში, ასევე საექსპერტო გამოცდილების გაზიარებით.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

  2019 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია AGORA-ს ჩართულობით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდული იდეა ურბანული განვითარებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა ახალგაზრდებმა შეიმუშავეს ურბანულ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები, რომელთა შორისაც გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა მოქალაქეთა მაღალი ჩართულობით - კენჭისყრის საშუალებით. შედეგად, ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო ადგილობრივ პროცესებში ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მექანიზმების გამოყენების გამოცდილება, ახალგაზრდულმა ჯგუფებმა შეისწავლეს პროექტების წერა და ადვოკატირება, ხოლო ადგილობრივმა საჯარო მოხელეებმა მიიღეს მოქალაქეებთან თანამშრომლობის და მათი ინიციატივების მუნიციპალურ დონეზე მხარდაჭერის, გაშუქების თუ საბიუჯეტო პროცესებში ასახვის გამოცდილება. სუბიექტური (მოქალაქეთა მიერ მხარდაჭერილი პროექტი ითვალისწინებდა იმ ტერიტორიის რეაბილიტაციას, რომელიც არ წარმოადგენდა მუნიციპალურ საკუთრებას) თუ ობიექტური გარემოებების (პანდემია) გათვალისწინებით, გამარჯვებული პროექტის განხორციელება იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა, გამოცდილება, რომელიც პროექტში მონაწილე მხარეებმა მიიღეს, გახდა საწინდარი, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში მუნიციპალიტეტს უკვე საკუთარი ბიუჯეტიდან გამოეყო თანხა მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის. დაიხვეწა და მეტად რეალისტური გახდა სააპლიკაციო ფორმაც, რამაც მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცა აქცენტი გაეკეთებინათ ინ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

ადგილობრივი თვითმმართველობა საზოგადოებრივი საკითხების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოწესრიგებას გულისხმობს. საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის

ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“(ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. თავი 1; მუხლი 2.). მონაწილეობა წარმოადგენს ევროსაბჭოს კარგი მმართველობის 12 პრინციპიდან უპირველესსაც. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრინციპის დანერგვა შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების (SDG) მე-16 მიზანთან - „მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუტები“. აქედან გამომდინარე, თვითმმართველობის განხორციელებისას, მოქალაქეთა ჩართულობა და მათი აზრისა და საჭიროებების გათვალისწინება გადამწყვეტია. თუმცა, მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში კვლავ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და გამოწვევად რჩება. შედეგად, ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინაშე დგას რეალობა, როცა მიუხედავად განხორციელებული პროექტებისა და დახარჯული საბიუჯეტო სახსრებისა, მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხი მუნიციპალიტეტის საქმიანობით კვლავ დაბალია. მხედველობაშია მისაღები გარემოებაც, რომ არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში, მუნიციპალიტეტს მუდმივად უწევს პრიორიტეტების განსაზღვრა და რესურსების მიმართვა საჭიროებებზე. ამ საკითხში კი მოქალაქეთა მონაწილეობა აუცილებელია. მეტიც, საჭიროა მოქალაქეთა მუდმივი ჩართულობა, რაც ერთის მხრივ ადგილობრივ ხელისუფლებას დაეხმარება მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების განსაზღვრაში, მეორეს მხრივ კი მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას თავი მიმდინარე პროცესების სრულფასოვან მონაწილედ იგრძნონ, ისწავლონ მოქმედება შეზღუდული რესურსების პირობებში და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო ბიუჯეტირების განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის შესაბამისად სრულფასოვნად განხორცილების, ისე ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული თუ სხვა პროექტების განსახორციელებლად მოქალაქეებთან წინასწარი კონსულტაციის გზას ყოველთვის მიმართავდა, თუმცა, მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირება არის მეტად გაუმჯობესებული, ინოვაციური მიდგომა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლებას, ვინაიდან, მოქალაქეები თავად მონაწილეობენ განსახორციელებელი საპროექტო იდეების შემუშავებაში, შემდეგ თავადვე ეწევიან მათ მიერ შემუშავებული იდეების ადვოკატირებას თემში და ბოლოს, თავადვე იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი პროექტის განხორციელებას ისურვებდნენ ფარული კენჭისყრის საშუალებით. სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესის თითოეული საფეხური მოითხოვს მოქალაქეთა გააქტიურებას, რაც უზრუნველყოფს თემის თითოეულ წევრის ინფორმირებას მიმდინარე პროცესის შესახებ და აძლევს მათ შესაძლებლობას გახდნენ გადაწყვეტილების მიღების მონაწილენი მათთვის სასურველი საშუალებებით (შეიმუშაონ საპროექტო იდეა, გაუწიონ იდეას ადვოკატირება, ან მხარი დაუჭირონ სასურველ საპროექტო იდეას კენჭისყრაში მონაწილეობის გზით). აქამდე გამოყენებული ფორმით - მოქალაქეებთან კონსულტაციით ვერ ხერხდებოდა მოქალაქეთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მათ გარკვეულ ნაწილს გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გარიყულობის განცდას უჩენდა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლების მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოდგენილი საპროექტო იდეების დიდ რაოდენობას (სურამი -32 ქვიშხეთი - 53 ცხრამუხა - 77 საპროექტო იდეა), შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოქალაქეთათვის მონაწილეობითი ბიუჯეტირების იდეა

მისაღები აღმოჩნდა და მათი მხარდაჭერა გამოიხატა როგორც იდეების შემუშავების, ისე კენჭისყრაში მაღალი ჩართულობის გზით.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
- ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების საპილოტე პროექტის განსახორციელებლად საწყის ეტაპზე შეირჩა დაბა სურამი, რომელიც საკურორტო ზონაა და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარება მნიშვნელოვანია, სოფელი ქვიშხეთი, რომელიც ასევე საკურორტო ზონას წარმოადგენს და სოფელი ცხრამუხა. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარი გამოიყო, საიდანაც მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, სურამისთვის გათვალისწინებულ იქნა 152 921 ლარი, ცხრამუხისთვის - 73 739 ლარი, ხოლო ქვიშხეთისთვის 73 340 ლარი.
- საპროექტო იდეის წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისა. იდეების წარდგენა შესაძლებელი იყო მატერიალურად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში, ასევე ქვიშხეთში, სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში, ასევე ელექტრონულად მერიის ელფოსტაზე: info@khashuri.gov.ge (სააპლიკაციო ფორმა ხელმისაწვდომი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში, ასევე ქვიშხეთში, სურამსა და ცხრამუხაში მერის წარმომადგენლების ოფისებში; ელექტრონული ფორმით კი მერიის ვებ გვერდზე: www.khashuri.gov.ge ამასთანავე, სამოქალაქო ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ფეისბუქის სპეციალურ გვერდზე Civic Budgeting – Khashuri.სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში https://www.facebook.com/profile.php?id=100081747420499&is_tour_dismissed=true) საპროექტო იდეები, რომელთაც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმები დააკმაყოფილეს, გადავიდა ელექტრონული კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტები გამოვლინდა ფარული ხმის მიცემით.
- სურამში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო ოთხი პროექტი, საიდანაც ყველაზე მეტი - 385 ხმა (საერთო ხმების 73,8%) მიიღო პროექტმა „მშვიდობის ქუჩის ბოლოს ყოფილი საკირის ტერიტორიაზე სკვერის და ტრენაჟორების მოწყობა“. (მოცემულ ეტაპზე სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულია ტენდერი)
- ქვიშხეთში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო 9 პროექტი, საიდანაც ყველაზე მეტი - 243 ხმა (საერთო ხმების 64,3%) მიიღო პროექტმა „სამედიცინო პუნქტის (ამბულატორია)

მოწყობა“. (მოცემულ ეტაპზე ტენდერი დასრულებულია და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურები)

- ცხრამუხაში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო 7 პროექტი, საიდანაც ყველაზე მეტი - 71 ხმა (საერთო ხმების 37,0%) მიიღო პროექტმა: „ცხრამუხის სკოლის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობა, კალათბურთის მოედნით და ფრენბურთის ბადით“. (მოცემულ ეტაპზე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია, დადებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სტადიონის მოწყობის სამუშაოები)
- გამარჯვებული პროექტის ავტორები ჩართული არიან პროექტის განხორციელების ყველა ეტაპში (პროექტირება, სატენდერო პროცედურები, პროექტის განხორციელების მონიტორინგი).

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

N	აქტივობა	პერიოდი	განმახორციელებელი:
	მოსამზადებელი სამუშაოები/კომუნიკაცია GIZ-ის წარმომადგენლებთან, საინფორმაციო შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან	მარტი, 2022წ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
	მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს ფორმირება, მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის ფულადი სახსრების განაწილების წესის შემუშავება; შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის მომზადება მერიასა და საკრებულოში;	აპრილი, 2022	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
	საინფორმაციო შეხვედრები სურამის ქვიშხეთის და ცხრამუხის მოსახლეობასთან. საინფორმაციო კამპანია (საინფორმაციო ლიფლეტების დარიგება სკოლის სამოქალაქო კლუბების მოხალისეთა ჩართულობით; საინფორმაციო კამპანია ფეისბუქის და ადგილობრივი ტელევიზიის (TV ივერია) საშუალებით);	27 18 აპრილი - 5 მაისი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი სურამის I, II, III, IV, ქვიშხეთის, ცხრამუხის საჯარო სკოლები
	საპროექტო იდეების წარდგენა	2022 წლის 20 მაისის ჩათვლით	მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო მოქალაქეები
	საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა	21-25 მაისი	მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო
	ელექტრონული კენჭისყრა (GIZ-ის ადმინისტრირებით)	2022 წლის 11-19 ივნისი	GIZ
	გამარჯვებული პროექტების გამოვლენა	2022 წლის 24 ივნისი	GIZ

			მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო
	გამარჯვებული პროექტების ასახვა ბიუჯეტში	2022 წლის ოქტომბერი	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
	სატენდერო პროცედურები	2022 წლის ნოემბერი	მუნიციპალიტეტის მერია
	პროექტების იმპლემენტაცია/მონიტორინგი	2022 წლის ნოემბერ - დეკემბერი	მუნიციპალიტეტის მერია მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 4 აპრილის #ბ84.842209415 ბრძანება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“;

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 აპრილის ბრძანება #ბ84.842209619 <u>„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ“</u>

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 აპრილის ბრძანება #ბ84.84221115 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022-2023 წელს დასაფინანსებელი იდეების - საპროექტო წინადადებების წარდგენის, პირველადი გადარჩევის, გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დამუშავების - მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენისგანხორციელების და განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგიების და სამოქმედო გეგმის შედგენის შესახებ“;

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება #15 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის განკარგულება #22 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“.

6. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის დადგენილება #16 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (https://khashuri.org.ge/images/dadgenilebebi/D-2021/D-N16.pdf გვ 14.))

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ოქტომბრის განკარგულება #55 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

8. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 ნოემბრის დადგენილება N29 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 14 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". (https://khashuri.org.ge/images/dadgenilebebi/D-2022/D-N29.pdf გვ 14.)

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

  ხაშურის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი მოქალაქეთა მაღალი ჩართულობით წარიმართა. პროექტის საწყის ეტაპზე მოქალაქეთა ინფორმირების საქმეში უმთავრესი როლი შეასრულეს ახალგაზრდებმა - სურამის, ქვიშხეთის და ცხრამუხის სკოლების უფროსკლასელებმა - სამოქალაქო კლუბების წევრებმა, რომლებმაც მოხალისეობრივად გაავრცელეს მოსახლეობაში მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო ლიფლეტები. ამასთან, ვინაიდან სამოქალაქო ბიუჯეტირების წესი ითვალისწინებდა საპროექტო იდეის წარმოდგენის შესაძლებლობას 14 წლის ასაკიდან, ახალგაზრდებმა საკონკურსოდ წარმოადგინეს საკუთარი იდეები. მნიშვნელოვანია ქალების მაღალი ჩართულობაც როგორც საინფორმაციო შეხვედრებისას, ისე საპროექტო წინადადებებზე მუშაობის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სამივე გამარჯვებული საპროექტო იდეა მომზადდა ქალების უშუალო მონაწილეობით და მათი გამარჯვება ქალების აქტიური ადვოკატირების შედეგად გახდა შესაძლებელი. პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივმა საგანმანათლებლო რესურს ცენტრმა და სკოლებმა. აღსანიშნავია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები როგორც არასამთავრობო სექტორიდან, ისე სამოქალაქო საზოგადოებბიდან, საბჭოს აქტიური წევრია შშმ პირი, რომელიც დისტანციური კონტაქტის მეშვეობით სრულფასოვნად იყო ჩართული მის საქმიანობაში. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, მოქალაქეები.
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

  ა) პროექტის განხორციელება მოხერხდა უმთავრესად მუნიციპალიტეტის საკუთარი ადამიანური რესურსების გამოყენებით. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო მერიის საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის, იურიდიული, ადმინისტრაციული სამსახურები, მერის წარმომადგენლები და სპეციალიტები სურამის, ქვიშხეთის და

ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში ასევე მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა - 300 000 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა უმთავრესად გამოიყენა საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. საკუთარი ძალებით მომზადდა საინფორმაციო ლიფლეტი, საინფორმაციო ვიდეომასალა და ა.შ. ელექტრონული კენჭისყრის ჩატარება კი უზრუნველყოფილ იქნა GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების) დახმარებით.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

  პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი ძირითადი პრობლემა იყო ცვლილებები პროექტის განხორციელების წინასწარ დამტკიცებულ განრიგში. ვინაიდან პროექტი საპილოტე ხასიათს ატარებდა და პირველად ხორციელდებოდა, მუნიციპალიტეტს არაერთგზის მომართეს მოქალაქეებმა თხოვნით, გახანგრძლივებულიყო საპროექტო იდეების წარდგენის ვადები. მოქალაქეთა თხოვნა დაკმაყოფილდა, რამაც შესაბამისად გამოიწვია ცვლილებები საპროექტო იდეების წინასწარი გადარჩევის, კენჭისყრის და გამარჯვებულის გამოვლენის თარიღებში. მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, 2023 წლისთვის მონაწილეობითი ბიუჯეტირების საინფორმაციო კამპანია დაიგეგმება უფრო ხანგრძლივად, რათა მოქალაქეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

  ამასთან, ვადების ცვლილებამ გამოიწვია თანხის დამატების აუცილებლობა, რადგან, გამოყოფილი თანხა აღარ აღმოჩნდა საკმარისი შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად. მუნიციპალიტეტის საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო 2022 წლის 6 ოქტომბრის N55 განკარგულებით, (თანდართულია) რომლის შესაბამისადაც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განსახორციელებლად განსაზღვრულმა თანხამ შეადგინა 456 861 ლარი. შესაბამისი ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 ნოემბრის N 29 დადგენილებით (თანდართულია). მიგვაჩნია, რომ ინფლაციის გათვალისწინებით, შესაძლოა მსგავსი პრობლემა შეიქმნას სამომავლოდაც, ამიტომ საბჭომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მერიასთან და საკრებულოსთან, რათა მათი არგუმენტირებული მიმართვის საფუძველზე ბიუჯეტში დროულად განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) - პროექტს უწევდა საექსპერტო დახმარებას. მის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ელექტრონული კენჭისყრის პროცედურა. (GIZ საქართველოში საქმიანობს 1992 წლიდან შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: მდგრადი ეკონომიკური განვითარება; დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო ადმინისტრირება; გარემოსდაცვითი პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენება)

ქედის მუნიციპალიტეტის მერია - პროექტს გაუწია საექსპერტო მხარდაჭერა გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

  პროექტის მიმდინარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: https://khashuri.gov.ge/gancxadebebi/271-xashuris-municipalitetis-moqalaqeta-monatsileobiti-biujetireba.html?fbclid=IwAR1p9thtwM98RymhwbSLCi2AsNMEuQf-rMzJkAdfw0zlJoMcVYVhvA0iFW4

  პროექტის წარმატებულ განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფეისბუქის სპეციალურმა გვერდმა **Civic Budgeting – Khashuri.სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში** https://www.facebook.com/profile.php?id=100081747420499&is_tour_dismissed=true სადაც გამოქვეყნებულია სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განხორციელების შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის პრეცენდენტი, რის შედეგადაც სურამის, ქვიშხეთისა და ცხრამუხის მოსახლეობის თანამონაწილეობა ადგილობრივ პროცესებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაღლდა მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების პასუხისმგებლობის ხარისხიც. განხორციელების შედეგად სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს, განსაკუთრებით ქალებს, ასაკოვან მოქალაქეებს და ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა უშუალოდ ჩართულიყვნენ თვითმმართველობის განხორციელებაში და მხარი დაეჭირათ იმ პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც, მათივე შეხედულებით ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა. მოქალაქეთა მაღალი ჩართულობა ცალსახად დადებითი ტენდენციაა. პროექტის საბოლოო შედეგებზე კი მუნიციპალიტეტი იმსჯელებს მას შემდეგ, რაც დასრულდება დაგეგმილი სამუშაოები და ჩატარდება მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის კვლევა.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით)

  პროექტის წარმატებული განხორციელება განაპირობა ერთის მხრივ მაღალმა მოტივაციამ და დაინტერესებამ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან (მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები და ა.შ.), მეორეს მხრივ კი სურამის ქვიშხეთის და ცხრამუხის მოსახლეობის

ინტერესმა და მოტივაციამ. პროექტის წარმატებული განხორციელება განაპირობა საგანმანათლებლო რესურს ცენტრისა და ადგილობრივი სკოლების მაღალმა ჩართულობამ, ახალგაზრდული ჯგუფების, ქალების მონაწილეობის მაღალმა ხარისხმა, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოში სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა (მათ შორის მერის მრჩეველთა საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების, საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების, შშმ პირის და ა.შ.) ჩართულობამ, რამაც პროექტის განხორციელებას საყოველთაო ხასიათი მისცა.

რეკომენდაციის სახით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების, ისევე როგორც სხვა ინოვაციური პროექტების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია კვალიფიციური მოხელეები, რაც მოითხოვს მათ წინასწარ გადამზადებას; ანალოგიური პროექტების წარმატებულად განხორციელების პრაქტიკული მაგალითების საფუძვლიანი გაცნობა და საექსპერტო ცოდნის გაზიარება; საკრებულოს, მერიის, სხვადასხვა პარტნიორი მხარეების კოორდინირებული მუშაობა, გამართული საინფორმაციო კამპანია, მუშაობა მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;

  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

  მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განხორციელების შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის პრეცენდენტი, რის შედეგადაც სურამის, ქვიშხეთისა და ცხრამუხის მოსახლეობის თანამონაწილეობა ადგილობრივ პროცესებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაღლდა მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების პასუხისმგებლობის ხარისხიც. განხორციელების შედეგად სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს, განსაკუთრებით ქალებს, ასაკოვან მოქალაქეებს და ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა უშუალოდ ჩართულიყვნენ თვითმმართველობის განხორციელებაში და მხარი დაეჭირათ იმ პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებაც, მათივე შეხედულებით ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

- პროექტის განხორციელებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 300 000 ლარი. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის დადგენილება #16 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროგრამული კოდი 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 02 09 - მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი (თან ერთვის)). განხორციელებული ცვლილების შედეგად, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის განსახორციელებლად განსაზღვრულმა თანხამ შეადგინა 456 861 ლარი. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ოქტომბრის განკარგულება #55 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული თანხის

მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 ნოემბრის დადგენილება N29 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. - თან ერთვის))

2023 წლის ბიუჯეტის პროექტში მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის განსაზღვრულია 300 000 ლარი. (ამ ეტაპზე ბიუჯეტი არ არის დამტკიცებული და აქტიურად განიხილება) (პროგრამული კოდი 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 02 09 - მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი: გამოქვეყნებულია: https://khashuri.gov.ge/files/uploads/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%202023%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98.pdf)

ამასთან, დეკემბრის თვეში დაგეგმილია ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა, ამიტომ, გაიზრდება თანხა შესაბამის კოდში (02 09 მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი) და ჩვენი ვარაუდით, განისაზღვრება 500 000 ლარით.

10. **საკრებულოს როლი:**
    - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
    - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
    - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

    ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მონაწილეობს მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელების ყველა - დაგეგმვის, იმპლემენტაციის ეტაპებზე. საკრებულოს მიერ დროულად არის მიღებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა განკარგულება თუ დადგენილება. საუკეთესო პრაქტიკის კონკურსზე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის წარდგენა საკრებულოსთან შეთანხმებით მოხდა. საკრებულოს წევრები, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლები არიან მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს წევრები და აქტიურად არიან ჩართული საბჭოს საქმიანობაში. შესაბამისად, საკრებულოში მოქმედი ყველა ფრაქცია ინფორმირებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭოს საქმიანობის და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ფრაქციების დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ დადებითია.

11. **პრატიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

მონაწილეობითი ბიჯეტირება, როგორც საუკეთესო პრაქტიკა შეტანილია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში. მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის განსაზღვრულია 300 000 ლარი. (ამ ეტაპზე ბიუჯეტი არ არის დამტკიცებული და აქტიურად განიხილება) (პროგრამული კოდი 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 02 09 - მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი. ამასთან, დეკემბრის თვეში დაგეგმილია ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა, ამიტომ, გაიზრდება თანხა შესაბამის კოდში (02 09 მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტი) და ჩვენი ვარაუდით, განისაზღვრება 500 000 ლარით.

არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაიხვეწება პროექტით განსაზღვრული აქტივობები, ვადები და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმები.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **ნინო სუხიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი. ტელ: 577951750; ელფოსტა: nsukhiashvili@gmail.com**
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- **ლელა მაჭარაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი. ტელ: 577954955; ელფოსტა: x.safinanso@yahoo.com**

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

1. **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 4 აპრილის #ბ84.842209415 ბრძანება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“;**

2. **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 6 აპრილის ბრძანება #ბ84.842209619 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ“**

3. **ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 აპრილის ბრძანება #ბ84.84221115 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022-2023 წელს დასაფინანსებელი იდეების - საპროექტო წინადადებების წარდგენის, პირველადი გადარჩევის, გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დამუშავების - მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენისგანხორციელების და განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგიების და სამოქმედო გეგმის შედგენის შესახებ“;**

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება #15 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ“

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის განკარგულება #22 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“.

6. (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის დადგენილება #16 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (https://khashuri.org.ge/images/dadgenilebebi/D-2021/D-N16.pdf გვ 14.))

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ოქტომბრის განკარგულება #55 „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

8. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 ნოემბრის დადგენილება N29 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. (https://khashuri.org.ge/images/dadgenilebebi/D-2022/D-N29.pdf გვ 14.)
9. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის საანგარიშო მოხსენება (გვ. 3-4)

- პროექტის მიმდინარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: https://khashuri.gov.ge/gancxadebebi/271-xashuris-municipalitetis-moqalaqeta-monatsileobiti-biujetireba.html?fbclid=IwAR1p9thtwM98RymhwbSLCi2AsNMEuQf-rMzJkAdfw0zlJoMcVYVhvA0iFW4
- ასევე ფეისბუქის სპეციალურ გვერდზე Civic Budgeting – Khashuri.სამოქალაქო ბიუჯეტირება ხაშურის მუნიციპალიტეტში https://www.facebook.com/profile.php?id=100081747420499&is_tour_dismissed=true

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 20 ოქტომბერი- 28 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge

ბრძანება:**ბ84.842209415**
თარიღი:**04/04/2022**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ბრძანების დამტკიცებული წესის მოქმედება გამონაკლისის სახით გავრცელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების და ფორმირების პროცესზე.

3. ბრძანება ეცნობოს მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15)

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ84.842209619**
თარიღი:**06/04/2022**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე'' ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 04 აპრილის N‘84.842209415 ბრძანების შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) შემდეგი შემადგენლობით:

2. ა) თენგიზ ჩიტიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ზვიად ქურდაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ნინო ლიპარტელიანი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბჭოს წევრი (მოწვევა);

დ) ნუგზარ გოცირიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს მდივანი;

ე) ითერ ხვედელიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **-** საბჭოს მდივანი;

ვ) დავით ღვალაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ზ) სერგო ლალიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

თ) გიორგი პაპიაშვილი - მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ფუნქციების შემსრულებელი - საბჭოს წევრი;

ი) კონსტანტინე ფრუიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური - სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

კ) ლელა მაჭარაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ლ) მარი მახაჭაშვილი - .ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელის სამსახურებრივი ფუნქციების შემსრულებელი -საბჭოს წევრი;

მ) ნინო სუხიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ნ) ივანე ლოლაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელების საქმიანობის კორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ო) შოთა კურტანიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

პ) მუხრან ჩადუნელი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

ჟ) საბჭოს გადაწყვეტილების მიერ შერჩეული ტერიტორიის გათვალისწინებით ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში/ერთეულებში საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი/დეპუტატები - საბჭოს წევრი (მოწვევა);

რ) ზვიად გოგუაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ს) მამუკა ნოზაძე - მოქალაქე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

ტ) გრიგოლ გაჩეჩილაძე - არასამთვრობო ორგანიზაცია ,,ძალდობის დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტის წევრი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

უ) ანა ტაბატაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი (მოწვევა);

2. საბჭომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე'' ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 04 აპრილის N№84.842209415 ბრძანების შესაბამისად.

3. ბრძანების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმს ერთეულმა - ადმინისტრაციულმა სამსახურმა;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ. N15).

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:**ბ84.84221115**
თარიღი:**21/04/2022**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2022-2023 წელს დასაფინანსებელი იდეების - საპროექტო წინადადებების წარდგენის, პირველადი გადარჩევის, გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დამუშავების - მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის, განხორციელების და განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგიების და სამოქმედო გეგმის შედგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე'' ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 04 აპრილის Nბ84.842209415 ბრძანების და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 აპრილის Nბ84.842209619 ბრძანებით შექმნილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობით ბიუჯეტის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 13 აპრილის რეკომენდაციის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის შედგენის და განხორციელების მეთოდოლოგია (დანართი №1);

2. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების განაცხადის წარდგენის ფორმა (დანართი №2);

3. დამტკიცდეს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგია (დანართი №3);

4. დამტკიცდეს მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის საინფორმაციო შეხვედრების განრიგი ზონების მიხედვით (დანართი №4);

5. 2022 წლის საბიუჯეტო წლისთვის, პროგრამის ეტაპებისთვის განისაზღვროს „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილებისაგან განსხვავებული ვადები, კერძოდ:

მოსამზადებელი ეტაპი - 14 აპრილი;

ა) მოსახლეობის ინფორმირება - 18 აპრილიდან 5 მაისამდე;

ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი - 5 მაისიდან 16 მაისამდე;

გ) საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა - 16 მაისიდან 25 მაისამდე;

დ) კენჭისყრის ეტაპი - 28 მაისიდან 30 მაისამდე;

ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა პროექტის დამუშავება ბიუჯეტში

გათვალისწინების მიზნით 30 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით;

6. განისაზღვროს 2023 წლის საბიუჯეტო წლისთვის, პროგრამის ეტაპებისთვის განისაზღვროს ვადები, კერძოდ:

ა) მოსამზადებელი ეტაპი - 31 ივლისი;

ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი - 1 აგვისტოდან 31 აგვისტომდე;

გ) საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა - 1 სექტემბრიდან 15

სექტემბრამდე;

დ) კენჭისყრის ეტაპი - 16 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე;

ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და პროექტის დამუშავება ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით - 1 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე;

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

8. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ხაშური მ. კოსტავას ქ. №15);

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 15

2021 წლის 07 სექტემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 85-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესი დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის მერმა, პროგრამული ბიუჯეტის მომზადების პროცესში, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით, ყოველწლიურად უზრუნველყოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელება.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს, ყოველწლიურად მოსაწონებლად, წარუდგინოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფორმების (ტერიტორიული, თემატური, შერეული), ზონების და დაფინანსების მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების პროექტები.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე

დანართი N1

ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ

ეს წესი განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა მიერ პროექტების შედგენის, განხილვის, წარდგენისა და მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროექტების შესაბამისი წლის ბიუჯეტში ასახვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებს.

კარი პირველი

საერთო დებულებები

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ცნება

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა (შემდგომში – „პროგრამა“) არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომლის ამოცანაა მოქალაქეებმა, საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე თავიანთი შესაძლებლობების გაძლიერებისა და ჩართულობის გაზრდის შედეგად, უზრუნველყონ მათ მიერ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილის განკარგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულებას იღებენ ბიუჯეტში გაითვალისწინონ და განახორციელონ მოქალაქეების მიერ, ამ დადგენილებით და შესაბამისი ნორმატიული და ინდივიდუალური აქტებით დადგენილი წესით, წარდგენილი და შერჩეული პროექტი(ები).

2. მუნიციპალიტეტის თითოეული წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის ოდენობა.

3. მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - მერი) უზრუნველყოფს პროგრამის და პროგრამის ფარგლებში წარდგენილი პროექტების (შემდგომში - პროექტი) შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, კამპანიის საწარმოებლად ბიუჯეტიდან გამოყოფს შესაბამის დაფინანსებას.

მუხლი 2. პროგრამის პრინციპები

1. პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

   ა) კანონიერება;

ბ) საჯაროობა;

გ) კოლეგიურობა;

დ) მოქალაქეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

ე) საბიუჯეტო სახსრების სამართლიანი განაწილება.

თავი მეორე

პროგრამის არსი

მუხლი 3. პროგრამის სახეები

1. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიული, თემატური ან შერეული სახით;
2. პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელებაა, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული ზონების მიხედვით;
3. პროგრამის თემატური სახით განხორციელებაა, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ნაწილდება საკრებულოს მიერ შესაბამისი წლისათვის განსაზღვრული თემების მიხედვით.
4. პროგრამის შერეული სახით განხორციელებაა, როცა პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრების განაწილება მოიცავს როგორც ტერიტორიულ, ისე თემატურ ნიშანს და თითოეულ მათგანზე განსაზღვრული სახსრები ნაწილდება.
5. პროგრამის სახე, გასანაწილებელი საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო კამპანიისთვის საჭირო დაფინანსების მოცულობა ყოველწლიურად თანხმდება მუნიციპალიტეტის მერსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის და მერის მიერ აისახება ბიუჯეტის პროექტში, პროექტის საკრებულოში წარდგენამდე.
6. პროგრამის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ ან/და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. პროგრამის განმახორციელებელი ორგანოები და დოკუმენტები

1. პროგრამის დაგეგმვასა და წარმართვაზე პასუხისმგებლები არიან: მერი, საკრებულო და პროგრამის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო);
2. პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას, საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს მერი;
3. პროგრამის განსახორციელებლად გაწეული სამუშაოს შესახებ საბჭო ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს მერს და საკრებულოს.

მუხლი 5. პროექტის შესახებ მოსახლეოების ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი

1. პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე პასუხისმგებლები არიან: პროექტის ავტორი და საბჭო;

2. პროექტის საინფორმაციო კამპანიის ფინანსურ, მატერიალურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მერი.

მუხლი 6. ინფორმირების ფორმები

პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად საბჭო ქმნის პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავს როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის, ისე მის ფარგლებში წარდგენილი პროექტების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების ფორმებსა და მეთოდებს.

თავი მესამე

საბჭო

მუხლი 7. საბჭო

1. პროგრამის განსახორციელებლად მერთან იქმნება საბჭო;
2. საბჭოს შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს ამტკიცებს მერი;
3. საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საკრებულოს შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები, შესაბამისი მაჟორიტარი დეპუტატები და პროექტების ავტორები;
4. მერი უფლებამოსილია საბჭოს შემადგენლობაში მოიწვიოს პროფესიული და აკადემიური წრეების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
5. საბჭო ანგარიშვალდებულია მერთან.

მუხლი 8. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:
   ა) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს პროგრამის წლიური სამოქმედო გეგმის პროექტი;
   ბ) შეიმუშაოს პროგრამის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წლიური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
   გ) დამტკიცებული დოკუმენტების ფარგლებში უზრუნველყოს პროგრამის, მისი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულება;
   დ) შეიმუშაოს და მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმები;
   ე) კოორდინაცია და საკონსულტაციო მხარდაჭერა გაუწიოს მოქალაქეებს/საინიციატივო ჯგუფებს საპროექტო წინადადებების მომზადების პროცესში;
   ვ) დაარეგისტრიროს მოქალაქეების/საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები;

ზ) მოახდინოს საპროექტო განაცხადების პირველადი ტექნიკური გადარჩევა ამ დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით;

თ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობისათვის პროექტების წარდგენისა და განხილვის, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმართვის პროცესს;

ი) ორგანიზება გაუწიოს დასახლებებში შემოსული პროექტებისათვის ხმის მიცემის პროცედურას;

კ) მოამზადოს და დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის, მერისა და საკრებულოსთვის წარსადგენი პროგრამის მიმდინარეობის ანგარიშები;

ლ) არაუგვიანეს 1-ელი ნოემბრისა, მერს წარუდგინოს მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრამით განსაზღვრული და მოქალაქეების მიერ შერჩეული საპროექტო წინადადებების ნუსხა.

მუხლი 9. საბჭოს სხდომების მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს ხელმძღვანელის მიერ;
2. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუკი სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.
3. საბჭოს სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომლის შედგენასაც საბჭოს ხელმძღვანელი ავალებს საბჭოს რომელიმე წევრს, ან მერიის შესაბამის მოხელეს;
4. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს საბჭოს ხელმძღვანელს ან საბჭოს წევრთა 1/3-ს.
5. საბჭოს რიგგარეშე სხდომის ინიცირების უფლება აქვს აგრეთვე საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლების მქონე პირთა 1/3-ს. ინიცირება წარედგინება საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას.

თავი მეოთხე

მერის და საკრებულოს უფლებამოსილებები

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის მერი

1. 1. პროგრამის განხორციელების პროცესში, მერი:

   ა) საკრებულოსთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით;

   ბ) ამტკიცებს საბჭოს, საბჭოს დებულებას, საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და საბჭოს ხელმძღვანელს;

გ) საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის წლიურ სამოქმედო გეგმას;

დ) იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისა და პროექტების საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ;

ე) არის გარანტორი, რომ ყველა პროექტს ექნება თანაბარი საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

ვ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას;

ზ) შესაბამის სამსახურებს ავალებს საბჭოს მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადების საფუძველზე შესაბამისი პროექტის მომზადებას;

თ) იღებს გადაწყვეტილებას შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვის შესახებ.

ი) იღებს გადაწყვეტილებას საკონკურსო განაცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღების შესახებ;

კ) ამტკიცებს პროექტების შერჩევის მიზნით გასამართი კენჭისყრის ფორმას და პროცედურებს;

ლ) ამტკიცებს საკონკურსო პროექტების განაცხადის ფორმებს.

მუხლი 11. საკრებულო

1. პროგრამის განხორციელების პროცესში, საკრებულო:

   ა) განკარგულების ფორმით, ყოველწლიურად იწონებს მერის გადაწყვეტილებას პროგრამის განხორციელების ფორმის, ზონებისა და დაფინანსების მოცულობის შესახებ;

   ბ) შესაბამის კომისიებში იხილავს, იძლევა შეფასებებს და რეკომენდაციებს პროექტების მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით;

   გ) ისმენს საბჭოს ანგარიშს მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების თაობაზე გაწეული სამუშაოს შესახებ, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

თავი მეხუთე

საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცესი

მუხლი 12. საპროექტო განაცხადი და განაცხადების მიღების ვადები

1. საპროექტო განაცხადის ფორმები მტკიცდება მერის მიერ და ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე წერილობითი ფორმით ყველა დაინტერესებული საინიციატივო ჯგუფისა თუ მოქალაქისთვის;

2. საპროექტო განაცხადები მიიღება მერის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 13. საპროექტო განაცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები

1. საპროექტო განცხადის შეტანა შეუძლია:

   ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან;

   ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეთა ჯგუფს (საინიციატივო ჯგუფი);

   გ) დასახლების საერთო კრებას;

   დ) პროგრამის ტერიტორიული სახით განხორციელების დროს - მხოლოდ იმ პირს ან საინიციატივო ჯგუფს, რომელთა წევრებიც რეგისტრირებულნი არიან საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ზონაში შემავალ რომელიმე დასახლებაში, ასევე შესაბამისი დასახლების საერთო კრებას.

მუხლი 14. საპროექტო განაცხადების მიღება და პირველადი გადარჩევა

1. საპროექტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია როგორც მერიაში, ისე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან. მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოს დამატებით ადგილები პროგრამის საპროექტო განაცხადების მისაღებად;

2. საპროექტო განაცხადს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და გადაეცემა საბჭოს შესაბამისი ფუნქციით აღჭურვილ თანამშრომელს.

3. საბჭო, საპროექტო განაცხადების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ასრულებს პირველად გადარჩევას და შესაბამის პასუხებს აცნობებს საპროექტო განაცხადის ავტორებს;

4. საბჭო, საპროექტო განაცხადების პირველადი გადარჩევის დროს, ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

   ა) საპროექტო განაცხადის იდეა შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა ფარგლებში;

   ბ) შემოტანილია უფლებამოსილი პირის მიერ;

   გ) პროექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება აღნიშნული ზონისთვის/თემატიკისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს;

   დ) დაცულია ამ დადგენილებით განსაზღვრული სხვა პირობები.

მუხლი 15. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვა

1. შერჩეული პროექტები, საბჭოს რეკომენდაციით, წარედგინება მერს ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით არაუგვიანეს 1-ელი ნოემბრისა.

2. შერჩეული პროექტების ბიუჯეტის პროექტში ასახვისა და პროექტირების ეტაპზე მერი და საბჭო ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროექტის ავტორის ინფორმირება.

თავი მეექვსე

პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

მუხლი 16. პროექტის განხორციელება

1. პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება პროექტის ავტორს და პროაქტიულად გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;
2. მერი უზრუნველყოფს პროექტის ავტორის ჩართვას პროექტის მონიტორინგის პროცესში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 22

2022 წლის 21 აპრილი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების, „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილების და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 აპრილის N№84.842209619 ბრძანებით შექმნილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობით ბიუჯეტის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 13 აპრილის რეკომენდაციის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

1. მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის პროექტების დაფინანსებისათვის განისაზღვრული თანხის, 300 000 ლარის გადანაწილება განხორციელდეს ტერიტორიული (განსაზღვრული ზონების მიხედვით) ფორმით, კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სურამის ადმინისტრაციული ერთეული: დაბა სურამი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი ქვიშხეთი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი ცხრამუხა.
2. თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისათვის საჭირო სავარაუდო თანხის მინიმალური ოდენობა 2022 წლისთვის განისაზღვროს 50 000 ლარის ოდენობით.
3. დამატებით თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულზე თანხა განისაზღვროს მოსახლეობის რაოდენობის (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები) და შესაბამის კოდში არსებული ასიგნების რესურსის შესაბამისად: დაბა სურამი - 102921 ლარი (7492X13.7375), სოფელი ქვიშხეთი - 23340 ლარი (1699X13.7375), სოფელი ცხრამუხა - 23739 ლარი (1728X13.7375).
4. მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წლისთვის შესაძლებელია დაფინანსდეს თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში საპროექტო წინადადება, რომლის მინიმალური ღირებულება იქნება 50000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ადმინისტრაციული ერთეულისათვის გამოყოფილ თანხას დაბა სურამი - 152921 ლარი, სოფელი ქვიშხეთი - 73340 ლარი, სოფელი ცხრამუხა - 73739 ლარი.
5. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდის მიხედვით ასახოს ასიგნება.
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიებების განხორციელება.
7. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

8. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
9. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ. გვერდზე **www.khashuri.org.ge.**
10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15)

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 55

2022 წლის 06 ოქტომბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აგვისტოს N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, საექსპერტო დასკვნის შესაბამისად ფასებისა და მოცულობების ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტში საჭიროა განხორციელებულ იქნას ცვლილებები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის მე-3, პუნქტების, საქართველოს კანონის „საქრთველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის №15 დადგენილების, „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 აპრილის №84.842209619 ბრძანებით შექმნილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობით ბიუჯეტის საბჭოს 2022 წლის 26 სექტემბრის ოქმის და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის 2022 წლის 28 სექტემბრის N33-842227189 წერილის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 აგვისტოს N41 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის პროექტების დაფინანსებისათვის განისაზღვროს თანხა 456 861 ლარის ოდენობით, გადანაწილება განხორციელდეს ადმინისტრაციული (განსაზღვრული ზონების მიხედვით) ერთეულების მიხედვით, კერძოდ: ხაშურის მუნიციპალიტეტის სურამის ადმინისტრაციული ერთეული: დაბა სურამი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი ქვიშხეთი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელი ცხრამუხა".

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულზე თანხა განისაზღვროს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შესაბამისად: დაბა სურამი - 211 802 ლარი, სოფელი ქვიშხეთი - 73 340 ლარი, სოფელი ცხრამუხა - 171 719 ლარი“.

გ) ამოღებულ იქნას განკარგულების მე-3 პუნქტი.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდის მიხედვით ასახოს ასიგნება.

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge .

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15).

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი

დანართი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის
და განხორციელების მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის მიზანია შეიქმნას ინსტრუმენტი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის სათათბირო ორგანოს - საბჭოს მისცემს საშუალებას, მოქალქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში ეფექტურად და გამჭვირვალედ მოახდინოს მოსახლეობისგან შემოსული საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 1. მონაწილეობითი ბიუჯეტის არსი

მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით შემუშავდება და განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები.

მუხლი 2. მონაწილეობითი ბიუჯეტის მიზანი

- მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობის მექანიზმის ინსტიტუ- ციონალიზაცია, მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის და განხორციელების საბოლოო მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვის საქმეში და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობა განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩევის გზით.
- პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-16 მიზნის - ,,მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები'' ძირითადი პრინციპების (მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობა, ინკლუზიურობა და ანგარიშვალდებულება) ადგილზე განხორციელების ხელშეწყობა.
- პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
- ამ წესით დაურეგულირებელი საკითხები წყდება პროგრამის განმახორციელებელი სათათბირო ორგანოს - საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ადმინისტრირების ძირითადი წესები და კრიტერიუმები:

1. **საპროექტო წინადადებებისათვის განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები:**

- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა იგეგმებოდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
- საპროექტო წინადადების განხორციელება უნდა შედიოდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში;
- საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ დამტკიცებულ ლიმიტს (ბიუჯეტს);
- წინადადებით შემოთავაზებული პროექტი არ უნდა იყოს შერჩეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე, ან ჩასმული დასაგეგმი წლის ბიუჯეტის პროექტში;
- ტექნიკურად უნდა იყოს შესაძლებელი საპროექტო წინადადების განხორციელება;
- საბჭომ შესაძლოა მიიღოს დამატებითი კრიტერიუმები.
- საპროექტო წინადადების წარდგენისას, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია:

ა) წარმომდგენის სახელი, გვარი;
ბ) წარმომდგენის პირადი ნომერი;
გ) წარმომდგენის საკონტაქტო ტელეფონი და/ან ელ-ფოსტა;

დ) პროექტის სახელწოდება;
ე) პროექტის აღწერა;
ვ) დასახლებული პუნქტი, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი;
ზ) პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელების კრიტერიუმი:

- პროგრამის განმახორციელებელი სათათბირო ორგანოს - საბჭომ უნდა გადაამოწმოს, რომელი დასახლებული პუნქტი არის მითითებული საპროექტო წინადადებაში და მიეკუთვნება თუ არა ეს დასახლებული პუნქტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და წინასწარ შერჩეულ ადმინისტრაციულ ერთეულს.
- ახალი ხაზობრივი ნაგებობის (მაგალითად, წყალსადენის მილის, შემკრები აუზის, სათავე ნაგებობის) მშენებლობის პროექტის შემთხვევაში, ეკონომიკის განვითარების და ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურებმა უნდა გადაამოწმოს, რომ პროექტის ყველა ელემენტი მდებარეობდეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (არ გადადიოდეს მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე).
- ამ მუხლის კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, წინამდებარე კრიტერიუმი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

3. საკუთარი უფლებამოსილებების კრიტერიუმი:

- პროგრამის განმახორციელებელი სათათბირო ორგანომ - საბჭომ იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა საპროექტო
წინადადებით გათვალისწინებული საქმიანობა ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთს მაინც. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=55) განსაზღვრული დადებითი პასუხის შემთხვევაში, წინამდებარე კრიტერიუმი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

4. ბიუჯეტის კრიტერიუმი:

მონაწილეობითი ბიუჯეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების არეალი უნდა ექცეოდეს ხაშურის მუნიცი- პალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას, წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას და არ იწვევდეს მოვლა-პატრონობის მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს.

- საბჭოს წევრებმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურმა უნდა მოახდენონ წინასწარი შეფასება, თუ რამდენად ჩაჯდება საპროექტო წინადადება წინასწარ დადგენილი ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში.
- საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების განსაზღვრის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა მეთოდები. კერძოდ, შესაძლოა გაანალიზდეს სხვა მსგავსი პროექტების განხორციელებისას დახარჯული ფინანსური რესურსები და სახელმძღვანელოდ აღებული იქნეს მსგავსი განხორციელებული პროექტის/ობიექტების ფაქტობრივი საშუალო ღირებულება.
- მსგავსი ობიექტის ღირებულებასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსგავსობის ხარისხი და შეფასდეს, რამდენად მნიშვნელოვან ფასთა სხვაობას იძლევა ეს განსხვავება.
- შესაფასებლად ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ერთეული ფასის განფასება ან იდენტურ სამუშაოებზე, საქონელზე და მომსახურეობაზე ბაზარზე არსებული ფასები.
- იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო წინადადების სავარაუდო ღირებულება ჯდება ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე კრიტერიუმი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

5. ახალი წინადადების კრიტერიუმი:

- საპროექტო წინადადება უნდა იყოს ახალი, რაც გულისხმობს, რომ ეს პროექტი არ უნდა იყოს განხორციელების ეტაპზე, ან ამ პროექტის განხორციელება ისედაც არ უნდა იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტიდან.

- ამ მიზნით, საფინანსო-საბიუჯეტო და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურებმა შესაბამის დარგობრივი სამსახურებთან ერთობლივად უნდა გადაამოწმოს, საპროექტო წინადადებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება ხომ არ არის გათვალისწინებული მიმდინარე ან დასაგეგმ საბიუჯეტო წელს.
- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, წინამდებარე კრიტერიუმი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

6. პროექტის განხორციელების შესაძლებლობის კრიტერიუმი:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის განვითარების და ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურებმა უნდა გადაამოწმოს, ხომ არ არსებობს საპროექტო წინადადების განხორციელების ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც პროექტის ჩაშლას გამოიწვევს, ან პროექტის განხორციელებას მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენებს.
- ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს: წყალმომარაგების მოწყობის შემთხვევაში - წყლის დებეტის ნაკლებობა; თვითდენითი წყალმომარაგების სისტემაში - სიმაღლეებს შორის უარყოფითი ან უმნიშვნელო დადებითი სხვაობა, სპორტული მოედნის აშენების შემთხვევაში - ასაშენებელ ზონაში მუნიციპალიტეტს არ გააჩნდეს საკუთარი მიწა ან გააჩნდეს ისეთი ნაკვეთი, რომლის სპორტულ მოედნად გამოყენებისას შეიზღუდება სხვა საჯარო სივრცესთან მოქალაქეთა წვდომა (მაგალითად, ჩაკეტავს სკოლისკენ მიმავალ გზას) და ა.შ.
- საბჭოს წევრებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის განვითარების და ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურებმა, ან სხვა შესაბამისი სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გაანალიზონ, რამდენად არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებსაც გავლენა შეუძლია მოახდინოს პროექტის წარმატებით განხორციელებაზე.
- უარყოფითი პასუხების შემთხვევაში, წინამდებარე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

7. სხვა კრიტერიუმებთან შესაბამისობა:

- იმ შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი სათათბირო ორგანოს - საბჭოს მიერ წინასწარ იქნა განსაზღვრული სხვა, დამატებითი კრიტერიუმები, მაშინ საბჭომ უნდა განიხილოს საპროექტო წინადადების სხვა, დამატებით კრიტერიუმთან შესაბამისობაც.

8. პროგრამის ადმინისტრირების პრინციპები:

- პროგრამის ადმინისტრირებისას, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ყველა ფენის ჩართულობა. ამ მიზნით, მოსახლეობასთან საინფორმაციო კამპანია უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ გამოყენებული იქნას ინფორმაციის მიწოდების ის არხები, რომლითაც სარგებლობენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები ინფორმაციის მისაღებად.
- პროგრამის ადმინისტრირებისას მნიშვნელოვანია პროგრამაში მონაწილეობისთვის ონლაინ ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული დასახლებებისთვის. ამ მიზნით, გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაში მონაწილეობის ონლაინ პლატფორმები.
- პროგრამის ადმინისტრირებისას მნიშვნელოვანია მონაწილეობის ალტერნატიული ფორმების არსებობა, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც გააჩნია კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების შეზღუდული უნარ-ჩვევები. ამ მიზნით, გამოყენებული უნდა იქნას პროგრამაში მონაწილეობის ალტერნატიული ფორმები განაცხადის, პროექტის - იდეის წარდგენის წერილობით დატოვების სახით.
- პროგრამის ადმინისტრირებისას მნიშვნელოვანია მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცვა. ამ მიზნით, პერსონალური მონაცემები უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ იმ მოცულობით, რაც მინიმალურად აუცილებელია პროგრამაში მონაწილეობისთვის, როგორც წინადადების წარდგენის, ასევე კენჭისყრის ეტაპზე, ხოლო საბჭოს ყველა წევრმა უნდა დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა მოთხოვნა.
- პროგრამაში მონაწილეთა პირადი მონაცემების გაუხმაურებლობის მიზნით, მონაცემები ინახება კონფიდენციალურად, ხოლო მათი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ხდება იდენტიფიცირებადი მონაცემების განადგურება. ამასთან, ხდება პროგრამაში მონაწილის წინასწარი ინფორმირება/თანხმობის აღება პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე.
- პროგრამის ადმინისტრირებისას მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვა. ამ მიზნით, პროგრამის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაეყრდნოს წინასწარ განსაზღვრულ წესებსა და

კრიტერიუმებს, ხოლო პროგრამის მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ ანგარიში უნდა იყოს საჯარო (გასაჯაროებას არ ექვემდებარება პერსონალური მონაცემები).

მუხლი 4. პროგრამის გენდერული ასპექტები

შემოსული და გადარჩეული საპროექტო წინადადებებიდან დგება ცალკე ცხრილი, რომელშიც შედის ის საპროექტო წინადადებები, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებას, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას და შედეგებთან ბრძოლას.

- პროგრამის ფარგლებში წახალისებულია ისეთი საპროექტო წინადადებების წარმოდგენა, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებას, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას და შედეგებთან ბრძოლას. ამ მიზნით, თუ ასეთი საპროექტო წინადადება ვერ გაიმარჯვებს კენჭისყრის შედეგად, პროექტის სათათბირო ორგანო - საბჭო მერიას წარუდგენს დამატებით წინადადებას, გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული იმ საპროექტო წინადადების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებაზე, რომელმაც მიიღო მოსახლეობის მეტი მხარდაჭერა.
- პროგრამის ფარგლებში წახალისებულია გენდერულად სენსიტიური საპროექტო წინადადებების წარმოდგენა, რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული საჭიროებები/მოთხოვნები.

მუხლი 5. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში ჩართული მხარეები და მათი უფლება- მოვალეობები
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია) პასუხიმგებელია მონა- წილეობითი ბიუჯეტირების მომზადებაზე და განხორციელებაზე, ფინანსების გამოყოფაზე, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესის საინფორმაციო მხარდაჭერაზე, გამარჯვებული წინადადების ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვაზე, მის შემდგომ იმპლემენტაციაზე და ანგარიშგებაზე.
- პროგრამის განმახორციელებელი სათათბირო ორგანო - საბჭო პასუხისმგებელია წარდგენილი იდეების ანალიზზე და საჯარო ხმის მიცემის პროცედურით შედეგების შეჯა- მებაზე.

მუხლი 6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ეტაპები

მონაწილეობითი ბიუჯეტირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი
ბ) იდეების, პროექტების წარდგენა;
გ)იდეების პროექტების ანალიზი;
დ) ხმის მიცემა;
ე) პროექტების ბიუჯეტში ასახვა;
ვ) პროექტების განხორციელება;
ზ) ანგარიშგება და კონტროლი.

მუხლი 7. მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის პროცესი და პროცედურები

1. პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი:

- მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო აწყობს საჯარო შეხვედრებს მოქალაქეებთან და აწვდის ინფორმაციას მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში წარსადგენი პროექტების წარდგენის პროცედურებისა და ვადების შესახებ.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო ორგანიზებას უწევს საჯარო შეხვედრას ტერიტორიული ერთეულების/უბნის მიხედვით მოქალაქეებთან. ინფორმაცია შეხვედრის თარიღის და ადგილის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ მერიის და მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის ვებ-გვერდებსა და სოციალური მედიის გვერდებზე და მოქალაქეთა თავშეყრის ადგილზე.
- საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპის დაწყებამდე, საბჭომ უნდა უზრუნველყოს, პროექტების წარდგენის და კენჭისყრის ონლაინ სისტემების გამართულად მუშაობა და მოსახლეობისთვის იოლად ხელმისაწვდომობა მატერიალურად და მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ინფორმირება.

2. იდეების (პროექტის) წარდგენა, საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი:

- საპროექტო წინადადებების წარდგენა ხდება წინასწარ დადგენილ ვადაში და ფორმატით ინტერნეტის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
- საპროექტო წინადადებების წარდგენა, ასევე შესაძლებელია მოხდეს ფიზიკურად მატერიალური ფორმით, საპროექტო წინადადებების ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის მიწოდებით, ან მერიაში პროექტის განაცხადის ფორმის დატოვების გზით.
- ფიზიკურად, ინტერნეტის გარეშე, წარდგენილი წინადადებების პროექტების ელექტრონულ სისტემაში შეტანას უზრუნველყოფს ხაშურის მუნიცპალიტეტის მერია. ასეთ შემთხვევაში საბჭო უზრუნველყოფს ფიზიკურად წარდგენილი განცხადებების პირველი პირების დადგენილი წესით დაარქივებას.
- საპროექტო წინადადებების წარდგენა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლიდან შეუძლია წარადგინოს ერთი საპროექტო წინადადებება.
- წარსადგენი საპროექტო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს.

3. იდეების ანალიზი, საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა:

- დადგენილ ვადებში, მონაწილეობითი ბიუჯეტირების საბჭო ახორციელებს წარდგენილი იდეების ანალიზს;
- იდეების ანალიზის მიზნით საბჭო იკრიბება მინიმუმ ორჯერ;
- საბჭოს პირველ შეკრებაზე ხორციელდება იდეების პირველადი ანალიზი, რომლის მიზანია იდეების აუცილებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა:
- პროექტის განაცხადის ფორმა სრულყოფილად უნდა იყოს შევსებული;
- იდეის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
- იდეა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- განაცხადით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში;
- იდეის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში განსაზღვრული პროექტის დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
- იმ შემთხვევაში, თუ იდეის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში;
- იდეა არ უნდა იყოს დაფინანსებული ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, პროექტის ანალოგიური ვერსია, ასევე არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს;
- იდეების პირველადი ანალიზის დროს ყურადღება ექცევა ასევე შემდეგ გარემოებებს:
- პროექტის განხორციელების ვადები და იდეის განხორციელებადობა მომავალი ერთი წლის განმავლობაში;
- ბიუჯეტის რელევანტურობა, პროექტის განხორციელების საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარჯები;
- პროექტის განხორციელების შემდგომი საოპერაციო ხარჯების ოდენობა;
- განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის მუნიციპალურ პროგრამებთან კავშირი ან დუბლირება;
- იდეები საქმიანობის არსიდან გამომდინარე ჯგუფდება თემატური ჯგუფების მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში, საბჭო იდეების შესაბამისი თემატური ჯგუფების განხილვას ახორციელებს შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით;
- იდეა, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გამოირიცხება და მიეთითება დეტალური მიზეზი, თუ რატომ არ იქნა შერჩეული აღნიშნული პროექტი შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად;
- პირველადი ანალიზის პროცესში შესაძლებელია მსგავსი პროექტების კომბინირება და იდეების შევსება;
- საბჭოს შემდგომ შეკრებაზე ხორციელდება იდეების საბოლოო ანალიზი, რომლის შედეგად საბჭო გამოავლენს განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს;
- იდეას, რომელიც საბოლოო ანალიზის შედეგად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს რომლებიც აკმაყოფილებს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს, ენიჭება პროექტის სტატუსი, თავსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე და მონაწილეობს საჯარო ხმის მიცემის პროცედურაში;
- პირველადი გადარჩევის პროცესი უნდა დასრულდეს კენჭისყრის ეტაპის დაწყებამდე.

- წინადადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ, სათათბირო ორგანო - საბჭო ახდენს მიღებული წინადადებების პირველად გადარჩევას სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისგან შემოსული საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევის მეთოდოლოგიის (ცხრილი №1) შესაბამისად.

- ყველას აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს მუნიციპალიტეტს საკუთარი შენიშვნები ანალიზის შედეგებთან დაკავშირებით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე.
- საბჭო უზრუნველყოფს, რომ კენჭისყრის ეტაპზე გადასული პროექტები კენჭისყრისთვის ატვირთული იყოს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე.

5. ხმის მიცემა, კენჭისყრის ეტაპი:

- ხმის მიცემა ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე პირდაპირი ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე - კენჭისყრა ტარდება ელექტრონულად, მუნიციპალური ვებ-გვერდის ლინკის მეშვეობით ან/და კენჭისყრა ასევე შეიძლება უშუალოდ, ადმინისტრაციულ ერთეულებში წინასწარ მომზადებულ საარჩევნო უბნებზე ფარული კენჭისყრით.
-მოქალაქეები რეგისტრაციის/ხმის მიცემისათვის, მიმართავენ მერიას (მერიისადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით), სადაც მათ მიეცემათ საშუალება გაიარონ რეგისტრაცია ან/და მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცედურაში;

- ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის უფლება გააჩნია საქართველოს მოქალაქეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ნებისმიერ 18 წლის და რომლის ასაკიც აღემატება 18 წელს; კენჭისყრისას, - ხმის მიცემის პროცედურაში მოქალაქის იდენტიფიკატორად გამოიყენება მოქალაქის პირადი ნომერი, მოქალაქემ უნდა დააფიქსიროს მისი სახელი, გვარი და პირადი ნომერი.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობს საბჭოს გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები;
- ხმის მიცემის პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს საბჭო;
- ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილე მოქალაქეს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ და ერთ პროექტს;
- პროექტების რეიტინგის ფორმირება ხორციელდება ხმის მიცემის პროცედურის შედეგად მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად;
- პროექტების ხმის მიცემის პროცედურის შედეგების გათვალისწინებით საბჭო ადასტურებს ხმის მიცემის პროცედურის შედეგებს.
- კენჭისყრის ვადის გასვლის შემდეგ ხმის მიცემა აკრძალულია.
- გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტ(ებ)ი, რომელმაც დააგროვა მოქალაქეების ხმათა უმრავლესობას, ანუ ყველაზე მეტი ოდენობა მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში და ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე საუკეთესო შედეგად ჩაითვალა.

6. გამარჯვებული პროექტის დამუშავება:

- საბჭოს გადაწყვეტილებით, გამარჯვებული პროექტ(ებ)ი შემდგომში გადასამუშავებლად გადაეცემა შესაბამის სამსახურს.
- მუნიციპალიტეტის სამსახური ამუშავებს საპროექტო წინადადებას, აზუსტებს ბიუჯეტს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს პროექტის ტექნიკურ დოკუმენტაციას.
- დაზუსტებული საპროექტო წინადადება ჩაიდება მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტში.
- საპროექტო წინადადების განხორციელება ხდება დამტკიცებული წესების შესაბამისად.

7. პროექტების ბიუჯეტში ასახვა:

- პროექტები, რომლებიც ხმის მიცემის პროცედურის საფუძველზე დააგროვებენ საუკეთესო შედეგებს რიგითობის მიხედვით, მონაწილეობითი ბიუჯეტისათვის განსაზღვრული ასიგნების მოცულობის ფარგლებში, ასახული იქნება ხაშურის მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტში, ხოლო 2022 წელს აისახება 2022 წლის ბიუჯეტში და ექვემდებარება დაფინანსებას.

8. პროექტების განხორციელება:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახული პროექტების განხორციელების მიზნით მერია ახორციელებს ბაზრის კვლევას და საჭიროების შემთხვევაში - საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას;
- შემდგომ ეტაპზე მერია ახორციელებს პროექტების ფარგლებში სამუშაოების შესყიდვას;
- პროექტის განხორციელების, მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას მერია უზრუნველყოფს პროექტის ავტორის ინფორმირებას და ჩართულობას.
- მერია უზრუნველყოფს ასევე პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას მერიის და მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის ვებ-გვერდებსა და სოციალური მედიის გვერდებზე.

მუხლი 8. ანგარიშგება და კონტროლი:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად წარუდგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს, სადაც აისახება შემდეგი ინფორმაცია:
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის მიმოხილვა - დარეგისტრირებული პროექტების ჩამონათვალი და აღწერა, ანალიზის შედეგები, ხმის მიცემის შედეგები;
- დაგეგმილი და ფაქტიურად განხორციელებული პროექტების შესახებ ფინანსური ინფორმაცია;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიზნებისა და მიღწეული შედეგების შედარება;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის გამოწვევები და მიღწევები.

მუხლი 9. დასკვნითი ნაწილი:

- საბჭოს სამუსაო ჯგუფი ავსებს შესაბამისობის ფორმას თითოეული საპროექტო წინადადებისთვის, რაზეც ხელს აწერენ სათათბირო ორგანო - საბჭო წევრები.

ცხრილი N1

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში მოსახლეობისაგან შემოსული საპროექტო წინადადებების კრიტერიუმებთან შესაბამისობის

#	საპროექტო წინადადების დასახელება	კრიტერიუმები						
		მუნიციპალიტეტის ტერიტორია	საკუთარი უფლებამოსილება	ბიუჯეტი	ახალი წინადადება	ტექნიკურად შესაძლებელი	დამატებითი	
1		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა
2		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა
		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა
		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა

X		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა
Y		აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დიახ/ არა

საბჭოს წევრი ხელმოწერა

1.

2.

3.

4.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა მონაწილობითი ბიუჯეტის

პროექტის განაცხადი

განმცხადებლის პირადი ინფორმაცია

სახელი	
გვარი	
პ/ნ	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ–ფოსტა:	

თანახმა ვარ ჩემი მონაცემები გამოყენებული იქნას ამ პროექტის მიზნებისთვის

განმცხადებლის ხელმოწერა:

პროექტის დასახელება

პროექტის განხორციელების ადგილი

არსებული მდგომარეობის აღწერა, რომლის გადაჭრას ითვალისწინებს საპროექტო წინადადება

პროექტის აღწერა

პროექტის კლასიფიკაცია

☒ ინფრასტრუქტურა

პროექტის პოტენციალური მომხმარებელი (აირჩიეთ 3)

☐ბავშვები	☐ახალგაზრდობა	☐საშუალო ასაკის
☐ასაკოვანი	☐სტუდენტები	☐უნარშეზღუდული

☐ბავშვიანი ოჯახები ☐შინაური ცხოველები

☐სხვა (მიუთითეთ)

პორექტი განსახორციელებლად მოთხოვნილი თანხა:

არასრულწლოვანი პროექტის განმცხადებლის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის მონაცემები:

სახელი:

გვარი:

პირადი ნომერი:

პროექტის ავტორის ხელმოწერა:

პასუხმგებელი პირის ხელმოწერა:

საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში ჯგუფის წევრების მონაცემები:

სახელი:

გვარი:

პირადი ნომერი:

სახელი:

გვარი:

პირადი ნომერი:

სახელი:

გვარი:

პირადი ნომერი:

პროექტი არ ითვალისწინებს ბიზნეს იდეების დაფინანსებას!

დანართი №3

მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის მიზანია, შეიქმნას ინსტრუმენტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესრულებაზე განახორციელოს ეფექტური ზედამხედველობა.

მუხლი 1. გამარჯვებული პროექტ(ებ)ის გამოვლენა

- მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი გამოვლინდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.
- ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით პროექტ(ებ)ის გამარჯვებულად გამოვლენა უნდა განხორციელდეს 10 ნოემბრამდე. ანუ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების იმ ეტაპზე, როდესაც ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე ჯერ კიდევ აღმასრულებელი ხელისუფლება (მერია) მუშაობს. გამონაკლისი იქნას დაშვებული 2022 წელზე 1 ივნისამდე;

მუხლი 2. პროექტ(ებ)ის ბიუჯეტში გათვალისწინება

- გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ასახული უნდა იყოს ბიუჯეტის პროექტის იმ ვარიანტში, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის მიერ 15 ნოემბერს წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. გამონაკლისი იქნას დაშვებული 2022 წელზე.

- ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში გამოქვეყნდება საჯარო განხილვისათვის.
- ბიუჯეტის პროექტში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ასახული უნდა იყოს შესაბამის პროგრამულ კოდში (თუ ინფრასტრუქტურული პროექტია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში, თუ გამწვანების პროექტია - დასუფთავების პრიორიტეტში და ა.შ.) შესაბამისი ასიგნებების მითითებით. გამარჯვებულ პროექტ(ებ)ზე შემუშავებული უნდა იყოს პროგრამა, შესაბამისი აღწერით, მიზნებითა და მოსალოდნელი შედეგებით.
- საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ბიუჯეტის პროექტი მერიას უბრუნდება არა უგვიანეს 25 ნოემბრისა, რის შემდგომაც არა უგვიანეს 10 დეკემბრისა მერი საკრებულოში წარადგენს ბიუჯეტის პროექტის იგივე ან გადამუშავებულ ვარიანტს. იმ შემთხვევაში, თუ 15 ნოემბერისათვის შემუშავებული ბიუჯეტის პროექტში არ იქნება ასახული სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი, 10 დეკემბრის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებებში შესაძლებელია მერიამ დამატებით გაითვალისწინოს მისი (მათი) დაფინანსება.
- საკრებულოს ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა, მათ შორის გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დამატება ან ამოღება, ასიგნებების ცვლილება, შეუძლია მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობით, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა (საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

მუხლი 3. პროექტ(ებ)ის დაფინანსება და პრიორიტეტების დოკუმენტში ასახვა

- მნიშვნელოვანია, რომ მერიამ გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ასახოს პრიორიტეტების დოკუმენტში. ასევე, ეს პროექტ(ებ)ი მოხვდეს იმ ჩამონათვალში, რომელიც დაფინანსების მოთხოვნით წარედგინება ცენტრალურ ხელისუფლებას.

მუხლი 4. პროექტ(ებ)ის განხორციელება

- მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეს ვებ- გვერდზე - www.matsne.gov.ge. გამარვებული პროექტ(ებ)ი, მისი შინაარსის და მოცულობის გათვალისწინებით დამტკიცებულ ბიუჯეტში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც ცალკე პროგრამად ან ქვეპროგრამად, ასევე პროგრამის ან ქვეპროგრამის შემადგენელ ერთ-ერთ ღონისძიებად.
- ბიუჯეტში ასახვის შემდგომ გამარჯვებული პროექტ(ებ)ი უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმაში, რომელიც ასევე ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.spa.gov.ge.
- თუ სხვა წყაროდან არ მოიპოვება ინფორმაცია გამარჯვებული პროექტ(ებ)ის განხორციელების ვადების შესახებ, შესყიდვების გეგმის და საბიუჯეტო განწერის მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს პროექტ(ებ)ის შესრულების პერიოდი.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.spa.gov.ge ასევე შესაძლებელია ინახოს, თუ როდის გამოცხადდება ტენდერი გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესრულებაზე, ვინ გაიმარჯვა ტენდერში და შეასრულებს პროექტ(ებ)ს, რა ღირებულებით და რა ვადებში და სხვა.

მუხლი 5. პროექტ(ებ)ის შესრულების ანგარიშგება

- გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესრულებაზე, გარდა ფიზიკური მონიტორინგისა, ასევე შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებიდან. ყველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვეში აღმასრულებელი ხელისუფლება საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების 3, 6 და 9 თვის ანგარიშებს, ხოლო ბიუჯეტის წლიური ანგარიში საკრებულოს წარედგინება საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვეში.
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში მოცემული უნდა იყოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების, მათ შორის სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესრულების შესახებ ინფორმაცია.
- ინფორმაცია პროექტ(ებ)ის ბიუჯეტში ასახვის, მისი განხორციელებისა და ანგარიშგების შესახებ საჯაროა და ყველა ზემოაღნიშნულ საშუალებასთან ერთად იგი შესაძლებელია გამოთხოვილი იყოს მერიის შესაბამისი სამსახურიდან დროის ნებისმიერ პერიოდში.

დანართი N4

მოქალაქეთა მონაწილეობითი ბიუჯეტის საინფორმაციო შეხვედრების განრიგი ზონების მიხედვით

1. 27.04. 2022 - დაბა სურამი რუსთაველის N138 13:00 /დაბა სურამის ადმინისტრაციული შენობა/
2. 28.04.2022 - სოფელი ქვიშხეთი 13:00 /ქვიშხეთის ადმინისტრაციული შენობა/
3. 29.04.2022 - სოფელი ცხრამუხა 13:00/ ცხრამუხის ადმინისტრაციული შენობა/

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის საანგარიშო მოხსენება

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხაშურელმა ამომრჩეველმა ნდობა გამოუცხადა ქართული ოცნების გუნდს და პირადად მეც. ამ ნდობის გამართლება და შესაძლებლობის მაქსიმუმის გაკეთება, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353 100 ლარის ოდენობით. მიმდინარე წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა, დღეის მდგომარეობით, განისაზღვრა 35 176 700 ლარის ოდენობით.

2022 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლები და დამატებითი ღირებულების გადასახადი. ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, მიმდინარე წელს, მისაღებად გათვალისწინებულია 18 035 000 ლარი, ქონების გადასახადი 2 950 000 ლარი, ასევე, გათვალისწინებულია მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 250 000 ლარის ოდენობით.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N#75 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 859 529 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსების თანხა შეადგენს 1 221 557 ლარს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა პროგრამების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების შესრულების შესაძლებლობა.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ, გამოცხადებული იქნა 144 ტენდერი, საიდანაც 80 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 25 476 946.50 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 22 637 595.50 ლარს, ეკონომია შეადგენს - 2 839 351.00 ლარს. გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 41 ტენდერი, 16 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 4 ტენდერი მიმდინარეა, ხოლო 3 ტენდერი შეწყვეტილია.

2022 წლის 1იანვრიდან - 30სექტემბრის ჩათვლით, სულ განხორციელებულია 197 შესყიდვა, რამაც, გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შეადგინა 23 968 327.68 ლარი.
ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 107 ხელშეკრულება 1 005 545.11 ლარის შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებულია 92 ხელშეკრულება 22 962 782.57 ლარის შესყიდვაზე.

მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში:

საქართველოს მთავრობის N#185 დადგენილების საფუძველზე (,,განახლებული რეგიონები'') ქალაქ ხაშურში წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 523 248 ლარი, პროექტი დასრულებულია. ამავე პროექტის ფარგლებში, მოეწყო სადგურის მოედანი, მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობის, დიმიტრი

ყიფიანის სახელობის სკოლის, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და მიმდებარე შენობების ფასადების რეაბილიტაცია და განათება.

როგორც აღვნიშნეთ, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N#75 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 859 529 ლარი. აღნიშნული თანხა გადანაწილდა შემდეგ პროექტებზე:

დასრულდა სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოები-1 840 000 ლარი.

სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე (I და II ეტაპი) გზის მოასფალტების სამუშაოები-2 469 997 ლარი

მიმდინარეობს სოფელ ცოცხნარამდე და სოფელ ქემფერამდე გზის მოასფალტების სამუშაოების გარდამავალი პროექტი-4 599 999 ლარი.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება-1 151 597 ლარი.

სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება-1864241ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლს 25 მაისის N#926 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი, მუნიციპალურმა თანადაფინანსებამ შეადგინა 26 000 ლარი პროექტისათვის სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოები. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა. აღნიშნული პროექტის მთლიანმა მოცულობამ შეადგენა 6 490 790 ლარი, შედეგად, ხაშურს უკვე აქვს თანამედროვე სტანდარტების სტადიონი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზოგადად ფეხბურთის პოპულარიზაციას და აამაღლა ხაშურის „ივერიის“ ფეხბურთელთა მოტივაცია.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულების ,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის“ ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ'' საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტმა დააკმაყოფილა მოთხოვნილი კრიტერიუმები და მოიპოვა გრანტი 400 000 ლარი, რამაც მოგვცა შესაძლებლობა რეაბილიტირებულ იქნას ზემო სერის ტყე-პარკი, აქედან რეაბილიტაციისათვის გრანტი, 400 000 ლარი, ხოლო თანადაფინანსება 403 897 ლარი, სულ -803 897 ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია. დაგეგმილია ველობილიკების მოწყობა, ამფითეატრის გაკეთება. ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციას ხაშურელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამიტომ ეს პროექტი ჩვენთვისაც ძალიან ღირებულია. ამასთან, ზემო სერის ტერიტორიაზე მალე გაიხსნება პროფესიული სასწავლებელი, დაგეგმილია თანამედროვე სარაგბო ბაზის მოწყობა, გრძელდება ახალი ბანას ტაძრის მშენებლობა, რაც ტერიტორიას ახალ და მძლავრ სიცოცხლეს შესძენს და მიმზიდველს გახდის როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვისაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით დასრულდა ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები, სულ თანხით - 300 000 ლარი.

ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დასრულდა და მიმდინარეობს რიგი პროექტები - დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში ბეტონის გზის დაგება, სოფელ ტეზერში ბეტონის გზის დაგება, სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, მე-2 ჩიხის მოასფალტება, სოფელ დიდ და პატარა სატივეში მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ გომში გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია, სოფელ გომში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტება, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბეტონის გზის დაგება, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების კაპიტალური ორმოული შეკეთება და ა.შ. (ixarjeba 5 მილიონზე მეტი)

მოგეხსენებათ, ქალაქ ხაშურის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობა მუდმივად გადატვირთულია. მერიას არაერთმა მოქალაქემ მომართა ამ პრობლემის გადაწყვეტის თხოვნით. შესაბამისად, დაიგეგმა საგზაო უსაფრთხოების გაძლიერების და საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, რუსთაველისა და მიმდებარე ქუჩების ცალმხრივი საგზაო მოძრაობის დაგეგმარება და საგზაო ნიშნების მოწესრიგება, სულ თანხით - 735 461 ლარი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის programis ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, მუნიციპალური თანადაფინანსება 550 000 ლარი, მიმდინარეობს წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე გამოყენების ტრენაჟორების მოწყობა, ბეტონის გზების დაგება, გზების მოხრეშვა, სკვერების მოწყობა, სანიაღვრე არხების გაყვანა, სასაფლაოების შემოღვა და მოსაცდელების მოწყობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდა და მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის - სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია, კერძოდ, სოფელ წაბლოვანაში და დიდ ფლევში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, ჭალისუბნის დასახლებაში ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, მინისტადიონის მოწყობა, სოფელ ახალუბანში მინისტადიონის მოწყობა, ქ.ხაშურში, თავდადებულის ქუჩაზე არსებულ სტადიონზე მორაგბეებისთვის გასახდელების მოწყობა, სოფელ ქემფერში მინისტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, სოფელ ბიჯნისში მინისტადიონის მოწყობა, ფარნავაზ მეფის N7 მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია, დაბა სურამში 9 აპრილის ქუზე, არსებული სტადიონის რეაბილიტაცია, მე-7 საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა დაბა სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე, არსებული ცენტრალური სპორტული სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები, ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქ. N72-ის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ ურთხვაში მინისტადიონის რეაბილიტაცია და დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში მინისტადიონის რეაბილიტაცია, სულ თანხით 1 594 708 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდა და მიმდინარეობს - პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია. კერძოდ, დაბა სურამში რკინის წყლის ტერიტორიის რეაბილიტაცია, ჩუმათელეთის დასახლებაში ატრაქციონების მოწყობა და ტერიტორიის შემოღობვა, სოფელ ზეკოტაში ფანჩატურის და გარე ტრენაჟორების მოწყობა, დ. სურამში ლესია უკრაინკას სკვერის რეაბილიტაცია; დაბა სურამში 9 აპრილის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, სარაჯიშვილის ქუჩის N მიმდებარედ საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, ფარნავაზ მეფის ქუჩა N#7-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, სულ თანხით 1 054 071 ლარი.

გარე განათებიდან მიმდინარეობს ქ. ხაშურში ცენტრალურ მოედანზე, ფასადებზე და დაბა სურამში სურამის ციხეზე დეკორატიული განათებების მოწყობა - 69 283 ლარი, სპეციალური ტექნიკის ამწე კალათის შესყიდვა - 69 466 ლარი.

2022 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტი პირველად, საპილოტე რეჟიმში, ახორციელებს ინოვაციურ პროექტს „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“, რაც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე მართვის ინოვაციურ

მეთოდებს, ფინანსების ყაირათიან და შედეგზე ორიენტირებულ განკარგვას, ასევე, მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე პროექტების განხორციელების მონიტორინგსა და შედეგების შეფასების პროცესებში. საწყის ეტაპზე, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი სურამში, ქვიშხეთსა და ცხრამუხაში გამხორციელდა. მოწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს. მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. შესაბამისად, ბიუჯეტის ასიგნებებმა 2022 წლის ბიუჯეტში შეადგინა 456 861 ლარი (სურამი - 211 802 ლარი, ქვიშხეთი - 73 340 ლარი, ცხრამუხა 171 719 ლარი), რეალურად, ახალი საარჩევნო სისტემით, ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურების მეშვეობით, განხორციელდა საპროექტო იდეების წარდგენა, გადარჩევა და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა.

2022 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან - გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის პოლიტიკის დანერგვაში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსახლეობის ყველა ჯგუფის საჭიროებების, მათ შორის, ქალების, კაცების და ყველა სამიზნე ჯგუფის (ხანში შესულები, ბავშვები, ქალები, კაცები და ა.შ.) და მათ საჭიროებებზე მორგებულად მათი ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში, ამასთან, გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში.

2022 წლიდან, მთავრობის ადმინისტრაციას და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით - განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების 25 მიზანი და 22 ამოცანა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა და ა.შ. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღებზე ზრუნვა ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სადღეისოდ, მუნიციპალიტეტში ჩვენს პატარებს ემსახურება სრულად რეაბილიტირებული 18 საბავშვო ბაღი. მიმდინარე წელს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მე-6 საბავშვო ბაღის სახურავს, შშმ ბავშვთათვის გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელთათვის საერთაშორისო სტანდარტების სრულ შესაბამისობაში მყოფი პირობების შეთავაზებას როგორც კვებისა და ჰიგიენის, ისე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების მიმართულებით.

სკოლამდელი აღზრდის სფეროსთვის- 2 892939 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" მიერ ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავების და სანიტარული ღონისძიებების გატარების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 796 ცალი ნაგვის კონტეინერი (298 ცალი პლასტმასი, 498 ცალი რკინის) , გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის

დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. გარე-განათების სისტემის მოვლა-პატრონობის მიზნით, ლამპიონებისა და სხვა ელექტრომასალის შესაძენად ჩატარდა 83695 ლარის მთლიანი ღირებულების 2 ტენდერი.

შიდა გზების მოვლა-პატრონობისთვის კი 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დაიხარჯა 257544 ლარი.

მიმდინარე წელს, ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა წყლისა და გამწვანების კომპანია, რაც მუნიციპალიტს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება დაუთმოს ქ. ხაშურში არსებული სკვერების, გაზონებისა მწვანე ნარგავების მოვლას და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას.

მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას.

2022 წელს, სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა, რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1 147 400 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 105 400 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 809 800 ლარ;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 38 200 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს 100 ლარის ოდენობით, ბრონქული ასთმა, პარკინსონი, 300 ლარის ოდენობით და აორტო-კორონარული შუნტირებით 500 ლარის ოდენობით, ამ მიზნით დახმარება გაეწია 33-ზე მეტ ბენეფიციარს 13 483 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 31 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 9 250 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოციალური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 119 ბენეფიციარს გაეწია 35 900 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

ავადმყოფები, რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისს N ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 565 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 289 341.78 ლარი.

ასევე ,დაფინანსდა 28 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 22 162.50 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 37 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 18 500 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით, 341 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 116 600 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ასეთმა 3 ბავშვმა მიიღო დახმარება 1400 ლარის ოდენობით.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანი, დევნილი, უპატრონო მიცვალებული) გაეწია 8 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაცია გაეწია 2 ბენეფიციარს 400 ლარის ოდენობით.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 15 ბენეფიციარს 15 000 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 62 604 (6 თვე) ლარს;

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველ 755 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 54 360 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად, უსახლკაროდ დარჩენილმა 5 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 11 000 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (27 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 24 900 ლარი;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 300-300 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 14 700 ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში შემოწმდა ქალაქ ხაშურისა და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლებისა და საბავშვო ბაღების სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამ პერიოდში, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. ჩატარებულია ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები. მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული, „ც" ჰეპატიტის უფასო სკრინინგული კვლევები.

მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. მიმდინარე წლის დასაწყისში, იანვრის თვეში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნა შობა–ახალი წლის დღესასწაული. ახალი წლის ღამეს, ღია ცის ქვეშ, გაიმართა კონცერტი, რომელიც დასრულდა ფეიერვერკით.

14 იანვარს საქართველოში სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნება. განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურში სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სიმბოლური საჩუქრები გადაეცა სასწრაფო დახმარების ხაშურის ფილიალის და ა(ა)იპ „ხაშურის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" ქალთა პერსონალს. ასევე, დასაჩუქრდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები უხუცესი ქალბატონები.

9 აპრილს, გვირგვინითა და 9 აპრილის სიმბოლო - წითელი ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინით შეიმკო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. აგრეთვე, ყვავილებითა და სიმბოლური საჩუქრებით დასაჩუქრდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ქურდაძე.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, ღია ცის ქვეშ, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მიერ გაიმართა გამოფენები, პატარების წინაშე წარსდგა თოჯინების თეატრი, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ამასთანავე, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლების ბავშვები ქ. თბილისში დაესწრნენ 3D ფილმს და ჩაერთვნენ სხვადასხვა საბავშვო აქტივობებში.

8 აგვისტოს გვირგინით შეიმკო აგვისტოს ომში დაღუპულთა საფლავები.

12-15 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-13 ფესტივალზე „Expo Batumi Travel 2022", ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოადგინა განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა და გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერთიფიკატიც დაიმსახურა.

გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. გვირგვინებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო- სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ აძვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ქუჩებში მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტუმირებული მსვლელობა. დიმიტრი ყიფიანის სახ. სკვერში მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეების ნაწარმის და სამუზეუმო ექსპონატების (ხაშურის ხედების) გამოფენები. პატარების გართობაზე ანიმატორებმა იზრუნეს. დღის ბოლოს კი გაიმართა საზეიმო

კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

ლატვიის დამეგობრებულ ქალაქ ბაუსკას ფესტივალზე „ოქროს მუხის ქვეშ“, მიწვეულ ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად შეძენილ იქნა ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქცია.

9 ივნისს ხაშურის სამუსიკო სკოლაში, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერის მუნიციპალური და თვითმოქმედი ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, წარმოდგენილი იყო: ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

ივნისის თვეში ახალგაზრდულმა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „თემა“

კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა, ანსამბლ ,,ფრესკას“ და ანსამბლ ,,ბასიანის“ კონცერტი, კულტურის სამსახურის მხარდაჭერით

15 ივლისს ქვიშხეთში,დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმში გაიხსნა იაპონელი მკვლევარის გამოფენა ნიკო ფიროსმანის შემოქმედების შესახებ.

27 ივლისს ქ. ბათუმში, ხელოვნების მე-9 საერთაშორისო ფესტივალზე, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით და მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა: ოპერის მომღერალმა ლევან ტაბატაძემ, ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მევიოლინოთა ანსამბლმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკამ“. მრავალფეროვანი პროგრამის წარმოდგენით, ხაშურმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

თეატრალური სეზონის გახსნიდან, პატარა მაყურებლებისათვის, რეგულარულად იმართება თოჯინების თეატრის სპექტაკლები.

10 აგვისტოს, ქალაქ ხაშურში, მინისტარის დასახლებაში ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა.

17 აგვისტოს, დაბა სურამში , ცენტრალურ პარკში, გაიმართა მომღერალ პაატა გულიაშვილის და ხაშურის მუნიციპალიტეტის ბენდის „SPAM JAM”-ის ერთობლივი კონცერტი.

30 აგვისტოს, 17:00 საათზე, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმში, ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარდა ლიტერატურული ფესტივალი.

9 სექტემბერს, ხაშურში, კულტურისა და დასვენების პარკში კონცერტი გაიმართა.კონცერტში მონაწილეობდნენენ: ზაზა ნოზაძე (Sf-x), სოფო საჟინიანი, ბენდი “Spam Jam” და ბენდი “Classic Beat”.

ოქტომბრის დასაწყისში აღინიშნა მასწავლებლის დღე. მუნიციპალიტეტმა ფასიანი საჩუქრებით აღნიშნა ჩვენი დამსახურებული პედაგოგების წარმატება.

სულ ახლახანს კი ხაშურში გაიმართა ხაშურქალაქობის ტრადიციული დღესასწაული, სადაც მონაწილეობდნენ ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლები, მეწარმეები, შემოქმედი ადამიანები. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ღონისძიებებში და ესწრებოდა ჩვენს დღესასწაულს.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით, აღნიშნულ პერიოდში, განხორციელდა სხვადასხვა დონის სპორტული რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი,

რაგბი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ძალოსნობა, ჩოგბურთი. ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებზე ჭიდაობა სამბოში, ძიუდოში, კალათბურთსა და ძალოსნობაში. ასევე ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე არაერთმა სპორტსმენმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და სხვადასხვა საპრიზო ადგილი.

სასპორტო სკოლაში სპორტის ყველა სახეობაში არსებულ ჯგუფებში მიმდინარეობს უფასო სწავლება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს მხარდაჭერას და მოქმედ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს აფინანსებს საერთაშორისო მასშტაბით გამართულ ჩემპიონატებზე და შეკრებებზე მონაწილეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ასიგნების ფარგლებში, მოხდა სპორტული წარმატების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების დაჯილდოვება, აგრეთვე ფულადი ჯილდო გადაეცათ დამსახურების მქონე მწვრთნელებს.

ჩვენი ინიციატივით, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერით და სპორტსმენთა ჩართულობით ხაშურის საფეხბურთო კლუბ „ივერიის“ განვითარების ფონდი შეიქმნა. მიგვაჩნია, რომ ფონდი მნიშვნელოვნად დაეხმარება ჩვენი საფეხბურთო კლუბის წინსვლას და განვითარებას.

აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებები. ორწლიანი პაუზის შემდეგ, განახლდა ინტელექტუალური ასპარეზობა „ბიგ რაუნდი“, რომელშიც ხაშურის მუნიციპალიტეტის 27 სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ.

„Let do it“ საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა მრავალი აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით: დასუფთავების, გამწვანების, კედელზე ხატვის აქციები. აღნიშნულ ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას სტუმრობდა ესტონეთის დელეგაცია. let do it world-ის ორგანიზაციის პრეზიდენტმა და ექსპერტებმა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, ნარჩენების მართვის მიმართულებით, ესტონური გამოცდილება გააცნეს, ასევე იმსჯელეს ეკოლოგიური კუთხით არსებულ პრობლემებზე და ადგილობრივ საჭიროებებზე.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა სერთიფიკატი, პროექტში „მოზარდი მოხალისეების ჩართულობა პანდემიის გამოწვევების საპასუხოდ საქართველოში“ შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, კონკრეტული შემსრულებლებისთვის და შემოქმედებითი ჯგუფებისთვის შესაძლებელი გახდა არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფესტივალზე მონაწილეობა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს,:

საქართველოს მთავრობის დახმარებით და ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსების გონივრული გამოყენებით, მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვან ღონისძიებებს განახორციელებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმიანობის განმავლობაში, მუდმივად ვგრძნობდით უდიდეს მხარდაჭერას როგორც საქართველოს მთავრობის, ისე რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მათ.